



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „ლელო“ - ქუთაისის „აია“		
გუნდი	თბ „ლელო“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	08/10/2021	მატჩის ადგილი	თბილისი, „შევარდენი“
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	მოთამაშე	დაზარალების თარიღი	7/4/2001
სახელი, გვარი	ნიკა ბაგაშვილი		
მომჩივანი	მატჩის მთავარი მსაჯი, შოთა თევზაძე	საჩივარი	✓ მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 1 9.13 - მოთამაშემ არ უნდა შეზოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ. სახიფათო ზოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ზოჭვას ან ზოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ზოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა.	✓ წითელი ბარათი საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	12/10/2021	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი თბილისი, ქ. ამირეჯიბის#6
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე.		
დამრღვევის დასწრება	✓ კი არა	სხვა დამსწრეები	კი არა
დამრღვევის წარმომადგენელი	კლუბ თბ „ლელო“-ს წარმომადგენელი, ოთარ პაქსაშვილი	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მთავარი მსაჯის „წითელი ბარათის ოქმი“ დარღვევის ვიდეომასალა.		



ფაქტობრივი გარემოებები დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. 2021 წლის 8 ოქტომბერს გაიმართული დიდი 10-ს კალენდარული მატჩი თბ „ლელო“-სა და ქუთაისის „აია“ შორის.
2. მატჩის მთავარი მსაჯის შოთა თევზაძის „წითელი ბარათის ოქმი“.
3. დარღვის ამსახველი ვიდეო მასალა.
4. კლუბ თბ „ლელო“-ს მოთამაშის ნიკა ბაგაშვილის ზეპირი განცხადება სხდომაზე.
5. კლუბ თბ „ლელო“-ს მენეჯერის ოთარ პაქსაშვილის ზეპირი განცხადება სხდომაზე.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა.

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

კლუბ თბ „ლელო“-ს მოთამაშემ, ნიკა ბაგაშვილმა, სხდომაზე განაცხადა, რომ ეთანხმება მატჩის მთავარი მსაჯის „წითელი ბარათის ოქმში“ აღნიშნულ შეფასებას - „გაუფრთხილებელი მაღალი ბოჭვა, კონტაქტი მხრით სახის არეში“ და გამოთქვა წუხილი თამაშის წესების დარღვევის გამო. დამრღვევის წარმომადგენელმა, კლუბ თბ „ლელო“-ს მენეჯერმა ოთარ პაქსაშვილმა განაცხადა, რომ ნაწილობრივ არ ეთანხმება მსაჯის გადაწყვეტილებას, კერძოდ წითელ ბარათს, მისი თქმით დარღვევას არ გამოუწვევია მოწინააღმდეგე მოთამაშის დაზიანება(ტრავმა) და ქმედება არ იყო წინასწარ განზრახული, მოწინააღმდეგემ თამაში განაგრძო ყოველგვარი სამედიცინო შემოწმების გარეშე და მსაჯს შეეძლო ყვითელი ბარათით შემოფარგლულიყო.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 2021 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა დიდი 10-ს კალენდარული მატჩი თბ „ლელო“-სა და ქუთაისის „აია“-ს შორის.
2. 2021 წლის 11 ოქტომბერს სრკ-ს სადისციპლინო ტრიბუნალმა მიიღო მატჩის მთავარი მსაჯის შ. თევზაძის „წითელი ბარათის ოქმი“ მატჩის დროს თამაშის წესების დარღვევის აღწერით, რისთვისაც მან მოედინიდან წითელი ბარათით გააძევა თბ „ლელო“-ს მოთამაშე ნიკა ბაგაშვილი (№ 11).
3. სადისციპლინო კომისიამ განიხილა მატჩის ვიდეომასალა, მოუსმინა თბ „ლელო“-ს მოთამაშეს ნიკა ბაგაშვილს, მის წარმომადგენელს ოთარ პაქსაშვილს და დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული მატჩის 63-ე წუთზე თბ „ლელო“-ს მოთამაშემ ნიკა ბაგაშვილმა



(№ 11) თამაშის წესების დარღვევით, სახიფათოდ (ბოჭვის დროს მისი მარცხენა ხელით არ იყო ბოჭვის მცდელობა) შებოჭა მოწინააღმდეგე რა დროსაც მისი მხარი სახეში მოხვდა შებოჭილს.

4. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 1-ის მიხედვით „ნებისმიერი თამაშის წესის დარღვევა გამოწვეული კონტაქტით თავის და/ან კისრის არეში განიხილება მინიმუმ "შუა ზღვარის" შესაბამისი სანქციით.“
5. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 1-ის მიხედვით დაირღვა თამაშის წესი 9.13 (მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ. სახიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა.)
6. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 12.5 და 12.6 პუნქტების მიხედვით სადისციპლინო კომისიამ სტანდარტული სანქცია შეამცირა 50%-ით.

გადაწყვეტილება

დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია უარყოფილია სხვა (აღწერეთ)
---------------------------	--

სანქციების პროცედურა

დარღვევის სიმძიმის შეფასება

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრული	✓
შეგნებული/წინასწარ განზრახული	წინდაუხედავი
დარღვევის გამომწვევი მიზეზი	
მოთამაშის წინდაუხედავი მოქმედება	
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე	
საშუალო	
მოთამაშის ქმედებების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მორაგბე (მაგ. მუშტით, იდაყვით, მუხლით, ფეხით / ბუცით)	
მხარი	
ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას;	
არა	
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული;	



არა
მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა);
არა
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა);
დაშავებულმა მოთამაშემ სამედიცინო შემოწმების გარეშე განაგრძო თამაში.
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე
არა
დაშავებულის დაცულობის ხარისხი
დაშავებული მოთამაშე უკვე იყო შეზოჭილი დამრღვევის თანაგუნდელის მიერ.
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარ განსჯის უნარი;
გაუფრთხილებელი
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;
არა
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.
არა

დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 2-ის მიხედვით

ზედა ზღვარი* კვირა	შუა ზღვარი 6 კვირა	ქვედა ზღვარი _____ კვირა
-----------------------	--------------------	--------------------------

*ზედა ზღვართან შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

მიზეზები



შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

მოთამაშის /პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;
არა
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება;
არა
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება;
არა

დამატებითი კვირების რ-ბა:

არა

შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;
	სუფთა სადისციპლინო ისტორია.
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში;
მოთამაშე არის ახალგაზრდა (20 წლის)	მოთამაშის ქცევა განხილვაზე - კარგი.
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება
დამრღვევმა მოთამაშემ გამოხატა სინანულის გრძნობა მომხდართან დაკავშირებით და პირობა დადო მსგავსის არ გამეორების შესახებ.	

დაკლებული კვირების რ-ბა: 3 კვირა

კვირების დაკლების მოკლე განმარტება:



სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	3 კვირა	წითელი ბარათი საკმარისია <input type="checkbox"/>
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	13/10/2021	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	08/11/2021 “დიდი 10“-ს მიმდინარე განრიგით.	
სხვა შეზღუდვები, გაფრთხილება.	დისკვალიფიკაციის პერიოდში მოთამაშეს ეკრძალება ოფიციალური მატჩების დროს ნებისმიერი აქტიუობა სათამაშო მოედანზე.	
დამრღვევმა მოთამაშემ აღიარა თამაშის წესების დარღვევა, გამოხატა სინანულის გრძნობა მომხდართან დაკავშირებით და პირობა დადო მსგავსის არ გამეორების შესახებ.სუფთა სადისციპლინო ისტორია.მოთამაშე არის ახალგაზრდა (20 წლის).მოთამაშის ქცევა განხილვაზე - კარგი.		

სრკ-ს წევრ სუბიექტზე დაკისრებული ფულადი ჯარიმადა ჯარიმის გადახდის ვადა	
U16-U18 და მოყვარულთა დონის გუნდებისათვის ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში - დასაკლები საცხრილო ქულების რაოდენობა	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	12 ოქტომბერი 2021 წ.
--------------------------	-------------------------	--------	----------------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.